ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–82

ქ. თბილისი; 2 აპრილი, 2021 წ. 14:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე
ქეთევან მამულაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსი – **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე – **მამუკა ჯაყელი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **დავით ჯაიანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **ოთარ ჩიტიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - **ლევან მიქავა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი - **მარიამ კვერნაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წრმომადგენელი – **მარიამ ჩივაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

<u>**დღის წესრიგი**</u>

<u>1.</u> „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

<u>2.</u> „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

<u>3.</u> „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

<u>4.</u> „გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობების განთავსება/მშენებლობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბერის №28-99 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

<u>5.</u> "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრაე ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

<u>6.</u> ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის

მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა N8-ში (ნაკვ.23/011) მდებარე, 4150.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.12.023.079) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი:N01.19.23.009.076.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

10. „ქალაქ თბილისში, ლოჭინის დასახლებაში (ნაკვეთი 04/139, საკადასტრო კოდი: N01.19.14.004.139)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩა N26-ში(ნაკვეთი N03/034,საკადასტრო კოდი:N01.19.17.003.034.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა, N139-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.010.01.602) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისში,ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა, N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.019.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. “ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლება N3-ში, კორპუს N26 ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.014.01.050) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-6 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.030.010.01.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.
მოისმინეს:
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ **დავით ჯაიანმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, **სხდომის დღის წესრიგის რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული,**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მოხსენების დასაწყისში, დავით ჯაიანმა ისაუბრა, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტის №77-18 დადგენილებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს **2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში განხორციელებულ ცვლილებებზე,** რითაც, დადგენილების დანართ 1-ში, ლოტ №3-ზე გაუქმდა 3 მარშრუტი, ლოტ №4-ზე - 15 მარშრუტი და ლოტ №5-ზე - 9 მარშრუტი **და მითითებული ღონისძიებებით განპირობებულ იქნა,** ქალაქ თბილისის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული შემდეგი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა:

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31დადგენილების 1-ლი მუხლის პირველ პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:**

„1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მგზავრობის ტარიფები დამტკიცდეს:

ა) ლოტი №1 (ვაკე-საბურთალოს რაიონი):
ა.ა) №№4, 17, 27, 30, 32, 50, 51, 72, 78, 120, 135, 140, 149, 161, 170, 184, 192 მარშრუტებზე – 0,8 ლარის ოდენობით (ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას - 0,65 ლარის ოდენობით);
ა.ბ) №220 მარშრუტზე – 0,6 ლარის ოდენობით;
ა.გ) №№23, 146, 177, 179 მარშრუტებზე – 0,5 ლარის ოდენობით;

ბ) ლოტი №2 (ძველი თბილისი-დიდგორის რაიონი):
ბ.ა) №№2, 6, 15, 35, 40, 41, 49, 73, 85, 126, 137, 176, 202, 218 მარშრუტებზე – 0,8 ლარის ოდენობით (ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას - 0,65 ლარის ოდენობით);
ბ.ბ) №90 მარშრუტზე – 0,6 ლარის ოდენობით;

გ) ლოტი №3 (დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი):
გ.ა) №152 მარშრუტზე – 1,5 ლარის ოდენობით;
გ.ბ) №№26, 34, 44, 58, 60, 62, 66, 67, 68, 75, 81, 101, 102, 108, 118, 193, 197, 200 მარშრუტებზე - 0,8 ლარის ოდენობით (ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას - 0,65 ლარის ოდენობით);
გ.გ) №№16, 25, 38, 124, 129, 208 მარშრუტებზე – 0,6 ლარის ოდენობით;
გ.დ) №№7, 22, 42, 53, 80, 151, 182 მარშრუტებზე – 0,5 ლარის ოდენობით;
გ.ე) №173 მარშრუტზე – 0,4 ლარის ოდენობით;

დ) ლოტი №4 (გლდანი-ნაძალადევის რაიონი):
დ.ა) №158 მარშრუტზე – 2,0 ლარის ოდენობით;
დ.ბ) №№11, 31, 61, 77, 100, 111, 116, 128, 133, 142, 145, 147, 148, 198 მარშრუტებზე – 0,8 ლარის ოდენობით (ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას – 0,65 ლარის ოდენობით);
დ.გ) №№87,217 მარშრუტებზე – 0,6 ლარის ოდენობით;
დ.დ) №№21, 39, 43, 47, 48, 52, 99, 104, 136, 139, 187, 222 მარშრუტებზე - 0,5 ლარის ოდენობით;

ე) ლოტი №5 (ისანი-სამგორის რაიონი):
ე.ა) №№154,165, 175 მარშრუტებზე – 1,0 ლარის ოდენობით;
ე.ბ) №№10, 117, 138, 150 მარშრუტებზე – 0,8 ლარის ოდენობით (ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას – 0,65 ლარის ოდენობით);
ე.გ) №69, 194 მარშრუტებზე – 0,6 ლარის ოდენობით;
ე.დ) №№3, 5, 28, 54, 55, 70, 71, 84, 91, 93, 95, 103, 105, 113, 115, 119, 155, 156, 162, 185, 189, 190, 191, 199, 205, 216 მარშრუტებზე - 0,5 ლარის ოდენობით;
ე.ე) №106 მარშრუტზე – 0,4 ლარის ოდენობით.“.

დავით ჯაიანმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ 23 მარტის N21.359.426 განკარგულებით, ამასთან, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და პროექტი დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კითხვით მიმართა მომხსენებელს პროექტით წარმოდგენილი ცვლილებისათვის საჭირო საბიუჯეტო სახსრების აუცილებელ ოდენობასთან დაკავშირებით, ასევე, თუ რამდენად საკმარისია არსებული საბიუჯეტო რესურსები და ხომ არ მოითხოვს დამატებითი ფინანსების გამოყოფას.

კითხვასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა განმარტა, რომ საბიუჯეტო სახსრების საჭირო ოდენობისა და დამატებითი რესურსის მოძიებასთან დაკავშირებით ზუსტი მონაცემები შესაძლებელია დადგენილ იქნას მარშრუტების სრულად ჩანაცვლებისა და ათვისების შემდგომ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

<u>მოისმინეს:</u>

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან მიქავამ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე–2 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

როგორც ბატონმა ლევან მიქავამ განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2021 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით და იზრდება არაწარმოებული აქტივების (მიწა) კლებიდან მისაღები შემოსავლები - 7 000,0 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 7 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 112 410,3 ათას ლარს, ამასთან, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროექტში გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, ხოლო, აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგი სახით:

- **იზრდება** - „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია“ (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 8 000,0 ათასი ლარით;
- **მცირდება** - „ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) პროგრამის ასიგნება – 500,0 ათასი ლარით, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 500,0 ათასი ლარით.

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ, გარდა ზემომითითებულისა, წარმოდგენილ პროექტში ასახულია ქალაქ თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2021 წლის 5 მარტის №106 სხდომის ოქმისა და ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 10 მარტის №21.279.311 განკარგულებით, **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) ქვეპროგრამის და საბაგირო ტრანსპორტის განვითარება** (კოდი 01 02 08) **ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებები,** ასევე, დაზუსტდა საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) ქვეპროგრამის აღწერილობითი ნაწილი.

მოხსენების მიწურულს, ლევან მიქავამ დაამატა, რომ პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 042 976,1 ათასი ლარის ოდენობით, ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 005 832,9 ათასი ლარით და ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 53 969,8 ათასი ლარით, ამასთან, მიუთითა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები და მიმდინარე წლის ბიუჯეტში, დადგენილების პროექტის შესაბამისად, დამატებითი რესურსების გადანაწილების მიზნიობრიობა შესაბამისი პროგრამული მიმართულებით, ამასთან, დასძინა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის პრეამბულაში მითითებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული პუნქტი.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს **და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მარიამ ჩივაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანი უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე–3 საკითხად განსაზღვრული, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72 136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მარიამ ჩივაძის განმარტებით, დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს, ქვეპროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდას – ნაცვლად, არაუმეტეს 1230 ბენეფიციარისა, მომსახურება გაეწევა– 1375 ბენეფიციარს, ამასთან, მიმწოდებლისათვის დადგენილ დამატებით პირობებს ემატება შემდეგი ახალი საკითხი – დაწესებულების/სპეციალისტების ჩართვისას სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი პროფესიული ასოციაციის რეკომენდაცია ქვეპროგრამით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“-ს მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, ხოლო, მე-9 მუხლს ემატება მე-9 პუნქტი, აგრეთვე მიუთითა, რომ პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, 2021 წლის 29 მარტის N21.407.460 განკარგულებით და პროექტით წარმოდგენილი ცვლილებების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულ იქნა 2021 წლის პირველი აპრილი, რათა მიმწოდებლებმაც და ბენეფიციარებმაც მთლიანი თვის ათვისება მოახერხონ.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ რამ განაპირობა შესაბამისი პროფესიული ასოციაციის რეკომენდაციის გაცემის აუცილებლობა, დაწესებულების სპეციალისტის მიერ საქმიანობის განხორციელების შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით და რამდენად უპასუხებს აღიშნული, პროექტის მიღების მიზნობრიობას.

კომისიის თავმჯდომარის კითხვასთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ პრაქტიკული საქმიანობის პროცესში გამოვლენილ იქნა კონკრეტული შემთხვევები, როდესაც გაჩნდა საფუძვლიანი კითხვები მომსახურების გამწევ სპეციალისტთა პროფესიულ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, პროექტით წარმოდგენილი ცვლილება კი გარკვეულწილად

გააჩენს მეტ გარანტიებს მითითებული შეუსაბამობის თავიდან აცილებასთან დაკავშირებით და შექმნის სპეციალისტების მიმართ მეტ პროფესიულ სანდოობას.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამოს განხორციელების წესი"–ს მე–9 მუხლში, პროექტით დასამატებელი მე–9 პუნქტის, ამავე წესში მითითებული ტერმინოლოგიის გათვლისწინებით, შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობაზე:

„9. პროგრამაში ახალი დაწესებულების/სპეციალისტ(ებ)ის ჩართვისას (რეგისტრაციისას) ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი პროფესიული ასოციაციის რეკომენდაცია, დაწესებულების სპეციალისტ(ებ)ის მიერ, ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით".

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე–4 საკითხად განსაზღვრული, „გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობების განთავსება/მშენებლობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბერის №28-99 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რისი მიღებაც, მომხსენებლის განმარტებით, განპირობებულ იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

- ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბერის №28-99 დადგენილების, რაც გამოცემულ იქნა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებავრთვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების საფუძველზე, პირველი მუხლი ადგენს, რომ I კლასს დაქვემდებარებული შენობა–ნაგებობების სახეობის, გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობის, განთავსება/მშენებლობა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვისა და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 66–ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების გარეშე, დედაქალაქის იერსახის გათვალისწინებით.

▪ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება კი ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის N139 დადგენილების საფუძველზე, შესაბამისად, №28-99 დადგენილებით გათვალისწინებული პირობები, რომლებიც განსაზღვრავდა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57დადგენილებით არსებული შეზღუდვების შემსუბუქებას, აღარ არის რელევანტური, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად, გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობა მიეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას. ამავე დადგენილების თანახმად, ასეთი ნაგებობის განთავსება ექვემდებარება მშენებლობის მარტივ შეტყობინებას. საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება.

ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული პროექტის შემუშავება, რაც, მოწონებულ იქნა, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, შესაბამისი განკარგულებით, მისი მიღება კი არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, არ გამოიწვევს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოყოფას და დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის ზოგადი სახით მითითების ნაცვლად, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მითითების მიზანშეწონილობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის

დღის წესრიგის, **რიგით მე–5 საკითხად განსაზღვრული,**"ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც, მომხსენებლის განმარტებით, მოწონებულ იქნა **ქალაქ თბილისის მთავრობის 2021 წლის 31 მარტის №21.417.474 განკარგულებით** და **ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებას.**

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ასევე ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების **ნებართვის გაცემის უფლებამოსილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის მინიჭებას;**

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე **გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი**"-სა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების **სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცებას.**

- „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №2-4 **გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას;**

- **პროექტის თანახმად,** აუქციონის პირობებს, მათ შორის, აუქციონის ვადას, აუქციონის ფასსა და მისი გადახდის წესს, ასევე, აუქციონის შესაძლო ლოტების რაოდენობას განსაზღრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით;

- **პროექტის მიხედვით,** გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა ელექტრონული აუქციონის წესით, შესაბამისი სააუქციონო პირობებით დადგენილი ვალდებულებების აღებისა და ყველაზე მაღალი ფასის წარმოდგენის საფუძველზე. ნებართვის მაძიებელი აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მისაღებად იხდის ნებართვის გაცემის ფასს, აუქციონის შედეგების მიხედვით. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისას მოსაკრებელი არ გადაიხდევინება;

- **პროექტით განისაზღვრება** გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების მაქსიმალური ვადა - მისი ამოქმედებიდან 15 (თხუთმეტი) წელი;

- აუქციონზე ნებართვის გაცემის საწყისი ფასი განისაზღვრება არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ოდენობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით;

- აუქციონის პირობებს, მათ შორის, ლოტების რაოდენობას, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების ვადას, ნებართვის გაცემის ფასის გადახდის ვადასა და წესს, აუქციონის ბიჯის ოდენობას განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წებართვის გამცემის წარდგინებით.

ირაკლი თავართქილაძემ კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო გარე რეკლამების განთავსების ნებართვებთან დაკავშირებით წინარე/მიმდინარე პერიოდში არსებული რეგულირებანი:

- ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №2-4 გადაწყვეტილებით, შემოღებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამა და გადაწყვეტილების მიღებიდან მე-15 დღეს ამოქმედდა ამავე გადაწყვეტილებაზე თანდართული, ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი, რითაც დადგინდა შესაბამისი ნებართვის მისაღებად არსებული ნორმატიული მოთხოვნები, 2009 წლის 6 თებერვალს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ:

- **ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა დაიყო 2 ლოტად (მ. მტკვრის მარცხენა და მარჯვე სანაპიროები),** ასევე, განისაზღვრა ლოტის საწყისი ფასი და გადახდის წესი, აუქციონის ორგანიზების, ჩატარებისა და მასში მონაწილეობის პირობები, ოქმის გაფორმების, სანებართვო პირობების კონტროლისა და ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობის საკითხები;

- ზემომითითებული გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, 2009 წლის 3 აპრილის ოქმი N1-ის თანახმად, **შპს „აუთდორ ჯის“ 12 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა** სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა, რომლის მოქმედების ვადაც იწურება 2021 წლის 3 აპრილს. ხოლო, 2009 წლის 3 აპრილის ოქმი N2-ის თანახმად, შპს „მაგი სტილი მედიას(ყოფილებამონაცვლე: **შპს „სმოდ ედვერთაისინგი", 12 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა** სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა, რის მოქმედების ვადაც, ასევე იწურება 2021 წლის 3 აპრილს.

ირაკლი თავართქილაძემ მიუთითა, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №2-4 გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლებში მითითებული **აქტების ნაწილი არის ძალადაკარგული** („საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ” საქართველოს კანონი),

ხოლო ნაწილი („ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი) არ შეესაბამება გადაწყვეტილებით რეგულირებულ საკითხს ან/და შესაბამისი მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი არ არსებობს, ამასთან „„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი უნდა შეიცავდეს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს, ხოლო ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №2-4 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესები ადგენს ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის კონკრეტულ პირობებს, რომელთა მრავალჯერადი გამოყენება არ შეესაბამება არსებულ რეალობასა და მუნიციპალიტეტის საჭიროებებს, ასევე, ზღუდავს ნებართვის გამცემის შესაძლებლობას, უზრუნველყოს ნებართვის განკარგვა სამართლიანი, კონკურენტული და მუნიციპალიტეტისათვის რენტაბელური პირობებით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №2-4 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება და ახალი დადგენილების მიღება, რაც შესაბამისობაში იქნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონთან, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონთან, „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონსა და სხვა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №2-4 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესები არ ითვალისწინებს გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ელექტრონული აუქციონის საფუძველზე განკარგვის შესაძლებლობასა და შესაბამის ნორმებს, რაც ზღუდავს მუნიციპალიტეტს, აუქციონი გამართოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანამედროვე, მოქნილი და ხელმისაწვდომი ფორმით, ხოლო, **პროექტით წარმოდგენილი წესის მიხედვით, ნებართვა გაიცემა ელექტრონული აუქციონის წესით და:**

- **აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, სავალდებულოა:**

ა) აუქციონატორის ვებგვერდზე ან/და აუქციონის პირობებით განსაზღვრულ სხვა შესაბამის ვებგვერდზე დარეგისტრირება;

ბ) რეგისტრაციის დროს აუქციონის წესების და პირობების გაცნობა და მასზე თანხმობის გაცხადება;

გ) ბეს გადახდა ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წერილობითი ფორმით წარდგენა. ნებართვის მაძიებელს, რომელსაც სურს, მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტ ლოტზე გამოცხადებულ აუქციონში, ბე უნდა გადაიხადოს ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უნდა წარადგინოს თითოეული ლოტისთვის ცალ-ცალკე. აუქციონში გამარჯვებულს ბე ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

- **მიმდინარე აუქციონის პირობების, მონაწილეობის წესის და მისი პირობების შეცვალე შესაძლებელია მხოლოდ ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.**

- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, სანებართვო მოწმობის მიღების შემდგომ დაიცვას საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები და მოთხოვნები და მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მათ შესრულებაზე წარუდგინოს ინფორმაცია ნებართვის გამცემს/აუქციონატორს.

- **აუქციონში გამარჯვებულს, ნებართვის გამცემთან შეთანხმების გარეშე, არ აქვს უფლება, ნებართვა განკარგოს (გაასხვისოს) ნებისმიერ მესამე პირზე.**

- აუქციონში გამარჯვებული, ნებართვის გასხვისების შემთხვევაში, ვალდებულია, ნებართვა გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით.

- აუქციონში გამარჯვებულზე გაიცემა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, რომელიც არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება და გამოიცემა საუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ და რომელშიც აისახება აუქციონის შედეგი - გამარჯვებულის დასახელება, ლოტის დასახელება, ნებართვის მოქმედების ვადა და ნებართვის გაცემის ფასი.

- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გამოცემიდან აუქციონის პირობებით განსაზღვრულ ვადაში ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც აზუსტებს და განავრცობს ამ წესითა და აუქციონის პირობებით განსაზღვრულ მხარეთა უფლება-მოვალეობებს და განსაზღრავს სანებართვო და სხვა პირობებს, გამარჯვებულის პასუხისმგებლობის შემთხვევებსა და წესს, ხელშეკრულების შეწყვეტის/ნებართვის გაუქმების საფუძვლებსა და წესს. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გამოცემის შემდეგ აუქციონით დადგენილ ვადაში და პირობებით გაიცემა ნებართვა (სანებართვო მოწმობა). აუქციონით განსაზღვრული ხელშეკრულების გაფორმების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ნებართვის გამცემის გადაწყვეტილებით.

- საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, ნებართვის გამცემი აუქციონით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის (გარდა ფინანსური და საინვესტიციო პირობებისა) შეცვლის ან/და გაუქმების შესახებ წინადადებას **გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.**

- თუ არ განხორციელდა აუქციონის ფორმით გატანილი ნებართვის განკარგვა, ეს ნებართვა შესაძლებელია გატანილ იქნას აუქციონზე შეცვლილი საწყისი საფასურით ან/და პირობებით. ასეთ შემთხვევაში, აუქციონი ჩაითვლება **განმეორებით აუქციონად.**

- თუ არ განხორცილდება აუქციონის ფორმით გატანილი ნებართვის განკარგვა, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ ნებართვის, იმავე პირობებით და კანონმდებლობით დადგენილი ვადის შესაბამისად, ვადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი მითითების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

<u>მოისმინეს:</u>

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–6 საკითხად განსაზღვრული,** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემულ ქ. თბილისში, მდინარემ ტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა როგორც ერთხელ უკვე აღნიშნა, 2009 წლის 3 აპრილის „ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი" ოქმი N1-ის თანახმად, შპს „აუთდორ ჯის" 12 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა, რის მოქმედების ვადაც იწურება 2021 წლის

3 აპრილს, ხოლო, 2009 წლის 3 აპრილის ოქმი N2-ის თანახმად, შპს „მაგი სტილი მედია"-ს (უფლებამონაცვლე შპს „სმოდ ედვერთაისინგი"), 12 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა, რის მოქმედების ვადაც იწურება 2021 წლის 3 აპრილს.

მომხსენებელმა დასძინა, რომ მიმდინარე ეტაპზე არსებული გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის მიზნით, განიხილება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ელექტრონული აუქციონის გამოცხადების საკითხი, ქალაქ თბილისის მთავრობასა და ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ამასთან, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხების მარეგულირებელი **ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 6 თებერვლის №2-4 გადაწყვეტილება საჭიროებს განახლებასა და მუნიციპალიტეტის არსებულ საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანას.**

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) მიერ გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შესახებ აუქციონის საწყისი ფასის დადგენას, აუქციონის პირობების შემუშავებასა და აუქციონის გამოცხადებას, გამარჯვებული პირ(ებ)ის გამოვლენასა და ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას ესაჭიროება გონივრული ვადები, რის გათვალისწინებითაც, **აუქციონის საფუძველზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ახალი მფლობელ(ებ)ის გამოვლენის სავარაუდო თარიღია არაუადრეს 2021 წლის 30 ივნისისა,** ხოლო, აუქციონის საფუძველზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის **ახალი მფლობელ(ებ)ის გამოვლენამდე, მიზანშეწონილია გაგრძელდეს არსებული ნებართვების ვადა,** რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ქალაქ თბილისში გარე რეკლამის განთავსებით დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის შესაბამისი მომსახურებას გაწევას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ გარე რეკლამების განთავსების ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობიდან შემოსავლის მიღებას.

მომხსენებელმა დასძინა, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, **ქალაქ თბილისის მთავრობამ,** 2021 წლის 31 მარტის №21.418.473 განკარგულების შესაბამისად, **მიზანშეწონილად** მიიჩნია, ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გარე რეკლამის განთავსების ნებართვების მოქმედების ვადის გაგრძელება 2021 წლის 30 ივნისამდე, ნებართვების სხვა პირობების უცვლელად, შესაბამისად, **წარმოდგენილი პროექტის თანახმად:**

- ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ 2009 წლის 3 აპრილს გაცემული ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვებში (სანებართვო მოწმობები) N000001-**ში და N000002-ში მითითებული: „ნებართვის მოქმედების ვადა 2009 წლის 3 აპრილი-დან 2021**

წლის 3 აპრილი-მდე“ შეიცვლება და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: „ნებართვის მოქმედების ვადა 2009 წლის 3 აპრილიდან 2021 წლის 30 ივნისამდე“;

- ხოლო, ამავე სანებართვო მოწმობებზე თანდართულ სანებართვო პირობებში წინადადება „გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ნებართვის მფლობელზე გაიცემა 12 წლის ვადით.“ შეიცვლება და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: „გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ნებართვის მფლობელზე გაიცემა 2009 წლის 3 აპრილიდან 2021 წლის 30 ივნისამდე.“.

ასევე, შესაბამისი ოქმებით განსაზღვრული ნებართვების ვადის გაგრძელების მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს დაევალება ნებართვების მფლობელებთან შეთანხმებების გაფორმების უზრუნველყოფა, წარმოდგენილი განკარგულების დანართი №1 და დანართი №2 დადგენილი ფორმით.

ბატონმა ირაკლიმ დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მერის წერილით დამატებით წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისისმთავრობის 2021 წლის 1 აპრილის N21.419.480 განკარგულება, რომლითაც ტექნიკურად დაზუსტდა ქალაქ თბილისის მთავრობისა და საკრებულოს განკარგულების პროექტებში მითითებული 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმების საფუძველზე გაცემული ნებართვების ნომრები.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა შემაჯამებელი სახით გამოთქვა მოსაზრებები გარე რეკლამების ნებართვებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებებზე და ისაუბრა, როგორც კონკურენციის თანაბარი პირობების დაცვისა და შესრულების საჭიროებაზე, რაც, სარეკლამო სფეროში მოღვაწე ღირსეულ სუბიექტებს მისცემს შესაძლებლობას მიიღონ მონაწილეობა ჩასატარებელ აუქციონში, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით. ამასთან, აღნიშნა, რომ აუქციონში გამარჯვებული კომპანი(ებ)ის მიერ, სარეკლამო სანებართვო საქმიანობის განხორციელების შედეგად, მიღებული შემოსავლების/მოგების წარმოდგენილი მაჩვენებლები არ შეესაბამება ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, შესაბამისად ახალი წესისა და შესაბამისად აუციონის შედეგად დადგინდება რეალური შემოსავალი, რომელიც უნდა მიიღოს დედაქალაქმა.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებს კომისიასთან აქტიურ და მჭიდრო თანამშრომლობაზე, რამაც განაპირობა გარე რეკლამებთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტების დეტალურად განხილვა და რედაქტირებული სახით წარმოდგენა, შესაბამისად, კომიისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, არა პროექტების შინაარსობრივ–სამართლებრივი შესაბამისობის საკითხებზე, არამედ პროექტების სტრუქტურული ნაწილების – პრემბულას, საოაურისა და შესაბამისი პუნქტების გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

<u>მოისმინეს:</u>

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს გააცნო, დღის წესრიგის რიგით მე-7 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მერის მიერ 2021 წლის 26 მარტს წარმოდგენილი (რეგ. N12–032108569–03) ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-8 მუხლში მე-5 პუნქტის შემდეგ, შემდეგი შინაარსის 5[1] პუნქტის დამატებას:

„5[1]. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები არ ვრცელდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/გადაცემული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისას“.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/გადაცემული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების გარეშე შესაძლებელი ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს ამის კანონით დადგენილი საფუძვლები. აღნიშნული უზრუნველყოფს კოოპერატივებისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებისთვის წინააღმდეგობების მოხსნას და კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა მაქსიმალურად მოკლე ვადებში დაკმაყოფილებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის ირაკლი თავართქილაძის მიერ წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ მეორე პროექტი (წარმოდგენილი 31.03.2021; რეგ. N12–032109072–03), რაც ითვალისწინებს, დადგენილებით დამტკიცებულ წესებში 41-ე მუხლის დამატებას, შემდეგი სახით:

„მუხლი 41. გარე რეკლამის განთავსების ნებართვასთან დაკავშირებული დროებითი ღონისძიებები
ამ წესის 35-ე მუხლის მე-5-მე-7 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება გარე რეკლამის განთავსების ნებართვ(ებ)ის გაცემისათვის 2021 წელს გამოცხადებული აუქციონით გათვალისწინებულ გარე რეკლამის განთავსებისადგილებზე.“

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, პროექტის მიღება განაპირობა, იმ გარემოებებმა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად, გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობა მიეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას და ასეთი ნაგებობის განთავსება ექვემდებარება მშენებლობის მარტივ შეტყობინებას, ხოლო, საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, დღეის მდგომარეობით, გარე რეკლამის ნებართვების ფარგლებში ფაქტობრივად განთავსებული ნაგებობების გარკვეული ნაწილი არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებსა და შეზღუდვებს.

ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ მიმდინარე ეტაპზე, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის/ნებართვების გაცემის მიზნით, განიხილება ელექტრონული აუქციონის გამოცხადების საკითხი, ქალაქ თბილისის მთავრობასა და ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე, მოქმედი რეგულირებისა და არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის, ასევე, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის/ნებართვების ელექტრონული აუქციონის საფუძველზე ეფექტიანად განკარგვის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 35-ე მუხლის მე-5-მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული პირობები და შეზღუდვები არ ვრცელდებოდეს გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისათვის 2021 წელს გამოცხადებული აუქციონით გათვალისწინებულ გარე რეკლამის განთავსების ადგილებზე(კერძოდ, აუქციონით გათვალისწინებულ არსებულ ობიექტებზე).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა ბატონმა მამუკა ჯაყელმა წარმოადგინა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების მე-3 პროექტი (წარმოდგენილი31.03.2021; რეგ. N12–032109068–03), რაც ითვალისწინებს, დადგენილებით დამტკიცებულ წესებში მე-40 მუხლის შემდეგ 41-ე მუხლის დამატებას შემდეგი სახით:

„მუხლი 41. საზოგადოებრივ ტერიტორიაზე ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე დროებით შენობანაგებობა - ჯიხურთან დაკავშირებული დროებითი ღონისძიებები საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარებისა და არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 141² მუხლისა და “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის და პირობების 37-ე მუხლის მიზნებისთვის, „საზოგადოებრივ ტერიტორიაზე ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე

დროებითი შენობა-ნაგებობა – ჯიხური“, გულისხმობს I კლასის მახასიათებლების მქონე, საცალო ვაჭრობისა და მომსახურებისათვის განკუთვნილ დროებით შენობა-ნაგებობას.“

ბატონ მამუკას განმარტებით, არსებულმა პრაქტიკამ გამოავლინა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ“ ქვეპუნქტით ჯიხური, როგორც საცალო ვაჭრობისა და მომსახურებისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ2-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა, შესაძლოა ცდებოდეს განსაზღვრულ პარამეტრებს, შესაბამისად, შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევისა და მათი სრულფასოვნად აღსრულების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, საქართველოს სივრცის დაგეგმარებისა და არქიტექტურული, და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141² მუხლისა და “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების 37-ე მუხლის მიზნებისთვის, საზოგადოებრივ ტერიტორიაზე ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე დროებითი შენობა-ნაგებობა – ჯიხური განიმარტოს მისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, როგორც, საცალო ვაჭრობისა და მომსახურებისათვის განკუთვნილ დროებით შენობა–ნაგებობა.

მომხსენებელთა მითითებით, წარმოდგენილი დადგენილებების პროექტები მოწონებულ იქნა, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, 2021 წლის 24 მარტის N21.388.436, 2021 წლის 31 მარტის N21.417.474 და 2021 წლის 30 მარტის N21.411.466 განკარგულებით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა დადებითად შეაფასა ჯიხურებთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტი და დამაზუსტებელი ხასიათის ინფორმაცია მოაწოდა კომისიის წევრებს, ჯიხურის მნიშვნელობის განმარტების, როგორც გარდამავლი ხასიათის ცვლილების მიღების მიზეზებზე და აღნიშნა, რომ იგი განაპირობებულ იქნა, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარებისა და არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141² მუხლით განსაზღვრული საკითხის – სამშენებლო სამართალდამრღვევის საზოგადოებრივ ტერიტორიაზე ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე დროებითი შენობა-ნაგებობის – ჯიხურის მშენებლობის შეტყობინების ან მშენებლობის ნებართვის გარეშე განთავსებისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების“ გათვალისწინებითა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების 37-ე მუხლის მიზნებისთვის, რაც ადგენს, იმ პირებისათვის, რომლებმაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განათავსეს დროებითი შენობა-ნაგებობა – ჯიხური და მისი გამოყენების ვადა

გასულია ან გადის 2021 წლის 1 ივლისამდე, ჯიხურის გამოყენების ვადის გახანგრძლივებას 2021 წლის 1 ივლისამდე.

ბატონ ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შესთავაზა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში, კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით დადგენილების პროექტის (წარმოდგენილი 2021 წლის 26 მარტს; რეგ. N12–032108569–03), უფრო დეტალური და სიღრმისეული თვალსაზრისით შესწავლის, უახლოს სხდომაზე განხილვის გადადება, ხოლო, დანარჩენი ორი პროექტის მიმართ გამოთქვა შენიშვნები, პროექტების პრეამბულის სამართლებრივი გამართულობის, პროექტების პირველი პუნქტის ტექნიკური-სტილისტური კუთხით გასწორებისა და პროექტებით დასამატებელი ახალი მუხლების ნუმერაციის შემდეგი მიმდევრობით: 41-ე და 42-ე მუხლების სახით, წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ამასთან, ბატონმა ლევანმა წარმოადგინა ინიციატივა, რომ კომისიის მიერ შეიქმნას ერთი დადგენილების პროექტი, რაც გაითვალისწინებს, როგორც გარე რეკლამებთან, ასევე, ჯიხურებთან დაკავშირებით წარმოდგენილ ცვლილებებს, აგრეთვე, მათ მიმართ, კომისიის მიერ მითითებულ შენიშვნებს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი კომისიის თავმჯდომარის წინადადებებს/მოსაზრებებს და აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, კომისიის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტის, რომელიც დანართის სახით დაერთვება კომისიის დასკვნას, საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განხილვას.

აღსანიშნავია, რომ საკითხების წარმომდგენებმა გაიზიარეს როგორც პროექტების მიმართ არსებული შენიშვნები, ასევე, დაეთანხმნენ, გაერთიანებული დადგენილების პროექტს.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე–8 საკითხად განსაზღვრული, გაცელის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქ. თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა N8 4150.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, მოქალაქე ილია კასრაძის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) მიწის ნაკვეთში, მდებარე: ქალაქი თბილისი. საქართველოს

სამხედრო გზა, ახმეტელისა და ლუბლინას ქუჩებს შორის (ნაკვეთი 22/100) 1050 კვ.მ.; (ნაკვეთი 22/101) 2000 კვ.მ. და (ნაკვეთი 22/102) 1000 კვ.მ., საპრივატიზებო საფასურის გარეშე, გაცვლის ფორმით, პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულის მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, მოქალაქე ილია კასრაძის წარმომადგენლმა განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას და ითხოვა, მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული, ზემოაღნიშნული 3 (სამი) უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ მიწის ნაკვეთში, მდებარე: ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა N8, 4150 კვ.მ. ფართში, გაცვლა, იმ მიზეზით, რომ მოქალაქის საკუთრებაში არსებულ მიწებს შეეცვალა ფუნქციური სტატუსი და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ -2) გახდა - ლანდშაფტურ - სარეკრეაციო ზონა, რითაც, რწმუნებულის განმარტებით, მესაკუთრეს ეზღუდება საკუთრებით სარგებლობის შესაძლებლობა, ხოლო, თხოვნის დაკმაყოფილების სანაცვლოდ, განმაცხადებლის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებზე გადამეტების შემთხვევაში, მზაობა გამოთქვა მესაკუთრემ სხვაობის გადახდასთან დაკავშირებით, ხოლო, საპირისპირო შემთხვევისას, დაინტერესებულ პირს არ ექნებოდა პრეტენზია მუნიციპალიტეტის მიმართა;

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მითითებით, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა და სააგენტომ, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნია, აღნიშნული მიწის ნაკვეთების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, რომელზეც ვრცელდება - ზოგადი საცხოვრებელი ზონა, დაინტერესებული პირისათვის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს გაცვლის ფორმით პრივატიზება.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 4150 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონების, მთლიანი საბაზრო ღირებულება 2021 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს - 3 718 400 ლარს, ხოლო, მოქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, რომელიც განეკუთვნება - ლანდშაფტურ - სარეკრეაციო ზონებს (ლსზ), თუმცა, დამკვეთის მოთხოვნით ობიექტები შეფასებულ იქნა, როგორც საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), 1050 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეადგენს - 1 033 200 ლარს; 2000 კვ.მ. შეადგენს - 1 838 000 ლარს და 1000 კვ.მ. - 919 000 ლარს, ხოლო ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობის პოზიციით:

იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქის კუთვნილ მიწებზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2, ხოლო, დღეის მდგომარეობით, ვრცელდება ლანდშაფტურ - სარეკრეაციო ზონა, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების ფენა, ამასთან, მათზე ვრცელდება შეზღუდვა - გამწვანების სპეციალური ზონა - „დიღმის ტყე-პარკი“, სარეკრეაციო სივრცეების განვითარება კი დედაქალაქისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკითხის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზება.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის ამოღება, იმ მიზეზით, რომ პრივატიზება ხორციელდება საპრივატიზებო საფასურის გარეშე, შესაბამისად, ნორმის სამართლებრივი რეგულირების გათვალისწინებით, მისი მითითება საჭიროებას არ წარმოადგენს.

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია აგრეთვე, პროექტის პრეამბულაში მითითებულ იქნას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, გაცვლის ფორმით პრივატიზება შეიძლება განხორციელდეს როგორც საპრივატიზებო საფასურით, ასევე საპრივატიზებო საფასურის გარეშე, ამასთან, პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართულობა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე–9 საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მოქალაქე თეონა ქუთათელაძესთვის 9 (ცხრა) წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ.თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩაN12,მე-3

სართული, 44.48 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე საკრებულოს მიერ თანმხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით,მოქალაქე თეონა ქუთათელაძემ ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით განცხადებით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის შედეგად, დადგინდა, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს შემოწმების აქტით - 2010 წლიდან, ხოლო, მეზობელების, სანოტარო წესით დამოწმებული ხელწერილებით - აღნიშნული პირის 2011 წლიდან ცხოვრების ფაქტი, ამასთან, საჯარო რეესტის სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის, ხოლო, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ამონაწერით (მომზადებული 09/07/2020 წ), თეონა ქუთათელაძის ოჯახს მინიჭებული აქვს 1770 სარეიტინგო ქულა.

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, სამგორის რაიონის გამგეობამ წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მთავრობას, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში, მე-3 სართულზე მცხოვრები, დევნილის სტატუსის არმქონე მოქალაქე თეონა ქუთათელაძისათვის, წლების მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, თავის მხრივ, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და ტექნიკური ხარვეზების გასწორება აღნიშნულ პუნქტში, პროექტის მე-2 მუხლთან ერთად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის

სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–10 საკითხად განსაზღვრული,** უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ლოჭინის დასახლებაში მდებარე უძრავი ქონების - ჯამში **547.03 კვ.მ მიწის ნაკვეთის,** დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის (13 პირი), პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.**

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულ პირთა განცხადებები, ხანგრძლივი დროის მანძილზე ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ობიექტების სიმბოლურ ფასად მიღებასთან დაკავშირებით წარედგინა სამგორის რაიონის გამგეობას, **ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის კვლევის შედეგად, დადგენილ იქნა** შემდეგი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების ინფორმაციით, მითითებული პირები **დაახლოებით 27 წელია ცხოვრობენ** ქ. თბილისში,ლილო-ლოჭინის დასახლებაში მდებარე №77 ბაგა-ბაღის შენობაში, ამასთან, მეზობლები, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ, მოქალაქეთა 1990-1998 წლებიდან დღემდე ცხოვრების ფაქტს, ხოლო, საჯარო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგებელმა შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, არადევნილი, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის, მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ კი იმჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარის მითითებით, მიზანშეწონილია, პროექტის სათაური გასწორდეს, პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და გაიმართოს ტექნიკურად, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლი - სტილისტურად.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გახსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე–11 საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ახვლედიანის ქუჩა N26-ში,მე-2 სართულზე, ბინა N7-ში, 39.43 კვ.მ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად, მოქალაქე ვერა მილორავასთვის პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგეობას, წლების მანძილზე ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით შუმადგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა მოქალაქე ვერა მილორავამ, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის შედეგად დადგინდა,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილების წერილითა და მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, დაინტერესებული პირის მიერ მისამართზე 2006 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, ხოლო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილზე დარყდნობით, ვერა მილორავასა და მისი ოჯახის წევრების სახელებზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის არარსებობა.

მომხსენებლმა ასევე აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, დაინტერესებული პირისათვის მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით,ხოლო, ქალაქ თბილისის მთვარობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა, პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითება და ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის - სტილისტურად გასწორება.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–12 საკითხად განსაზღვრული,** უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, **მოქალაქე ალექსანდრე რევაზიშვილისთვის,** ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ფერმწერთა ქუჩა, N139 პირველი სართული, 77.02 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირმა განცხადებით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობას, ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული იზოლირებული ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, **გამგეობის მიერ საკითხის მოკვლევის შედეგად, დადგენილ იქნა** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მიერ გაცემულ წერილობით დოკუმენტზე, შესაბამის მოქალაქეთა მიერ ვაკის რაიონის გამგებლისადმი წარდგენილ მიმართვასა და ქვემო ნუცუბიძის მიკრორაიონების საუბნო განყოფილების წერილზე დაყრდნობით, **მოქალაქე ალექსანდრე რევაზიშვილის მიერ უძრავ ქონებაში 2003 წლიდან ცხოვრების ფაქტი,** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წერილის მიხედვით კი, ალექსანდრე რევაზიშვილზე სახელზე, უძრავ ნივთზე, **საკუთრების უფლების რეგისტრაციის არარსებობის ფაქტი,** ხოლო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტოს წერილზე დაყრდნობით, **დევნილთა მონაცემთა ბაზაში ალექსანდრე რევაზიშვილის რეგისტრაციის არარსებობის საკითხი.**

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობას, საკითხთან დაკავშირებით ვაკის რაიონის გამგეობამ მიმართა შუამდგომლობის წერილით, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა, პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითება და მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში ხარვეზის აღმოფხვრა, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის - სტილისტურად გასწორება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე–13 საკითხად განსაზღვრული, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, **მოქალაქე ლიანა შიოშვილისათვის,** ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა, N20-ში, პირველი სართული 84.78 კვ.მ.ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხიზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ დაინტერესებული პირის მიერ, ისნის რაიონის გამგეობაში წარდგენილ იქნა განცხადება, ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, ხოლო, **გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის შედეგად, დადგენილ იქნა,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს წერილზე დაყრნობით, ლიანა შიოშვილის ცხოვრების ფაქტი ნამდვილობა, ხოლო, მეზობლების სანოტარო თანხმობით - აღნიშნული პირის მიერ 2005 წლიდან ცხოვრების ფაქტი, სს „თელასის" წერილზე დაყრდნობით, მისამართზე ლიანა შიოიშვილის 2013 წლიდან აბონენტად რეგისტრაციის საკითხი და ასევე, სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ლიანა შიოშვილსა და მისი ოჯახის წევრებზეუძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის არარსებობა.

ბატონ ირაკლის განმარტებით, მოქალაქე ლიანა შიოშვილი, გამგეობაში წარდგენილ წერილზე დაყრდნობით, მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს ჰოსპიტლის საოპერაციო ბლოკში და უსახლკარობის გამო შესახლდა აღნიშნულ შენობაში, ამასთან, გამგეობაში წარდგენილი, სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, აღნიშნული პირი აცხადებს, რომ ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა, N20-ში, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების შემთხვევაში, მას და მისი ოჯახის წევრებს არ ექნებიათ პრეტენზია და მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ისნის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მოქალაქე ლიანა შიოშვილისათვის,მრავალი წლის მანძილზე

დაკავებული უძრავ ქონების, **სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზებასთან დაკავშირებით,** იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქ. თბილისში საექიმოს გასასვლელი №4-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში მცხოვრები ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების ნაწილს, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცათ მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართები, ხოლო მოქალაქე ლიანა შიომვილს, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ქონება, დღემდე დარჩენილი აქვს საკუთრებაში რეგისტრაციის გარეშე, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის გამართულობა, პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითება და ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის - სტილისტურად გასწორება.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.
მოისმინეს:
14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–14 საკითხად განსაზღვრული,** უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, **მოქალაქე მაყვალა გამაზაშვილისთვის,** ხანგრძლივი დროის მანძილზე ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე:ქ. თბილისი, საინგილოს ქუჩა №61,პირველი სართული, 67.46 კვ.მ. პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

განმცხადებლის მითითებით, მოქალაქე მაყვალა გამაზაშვილმა განცხადებით მიმართა ისნის რაიონის გამგეობას, ფაქტობრივად, წლების მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, **გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის შედეგად, დადგენილ იქნა,** აღნიშნული პირის მიერ, 2003 წლიდან ცხოვრების ფაქტის წამდვილობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ გაცემულ წერილზე და მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებულ აქტზე დაყრდნობით, მოქალაქე მაყვალა გამაზაშვილის პოზიცია - (მოქალაქის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა) ქ. თბილისში, საინგილოს ქუჩა №61-ში მდებარე უძრავი ქონების მის სახელზე პრივატიზაციის/რეგისტრაციის

შემთხვევაში, მას და მის ოჯახის წევრებს არ ექნებათ პრეტენზია და მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მომხსენებლის მითითებით, გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის გამართულობა, პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითება, ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა და მთავრობის განკარგულების სწორი ფორმით მითითება, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის - სტილისტურად გასწორება.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–15 საკითხად განსაზღვრული,** უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, **მოქალაქე გიორგი მალამაშვილისთვის,** ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ფონიჭალის დასახლება 3, კორპუს N26, მე-10 სართული, 80.60 კვ.მ ფართის ბინა N50-ის, პირდაპირი განკარგვის წესით,სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, კრწანისის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე გიორგი მალამაშვილმა და ითხოვა,მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდომლობის გაწევა, ხოლო, **გამგეობის მიერ, საკითხის მოკვლევის შედეგად, დადგენილ იქნა,**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის IX სამმართველოს მიერ გაცემულ წერილზე დაყრდნობით მოქალაქის მისამართზე **25-30 წლის** განმავლობაში, ხოლო, კრწანისის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტისა და მეზობლების/ამხანაგობის დასტურების მიხედვით - **დაინტერესებული პირის მიერ - 1996 წლიდან ცხოვრების ფაქტი,** საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილის მიხედვით კი,

მოქალაქე გიორგი მალამაშვილისსახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრაციას არარსებობის ფაქტი.**

ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ გიორგი მალამაშვილის მიერ გამგეობაში წარდგენილ იქნა განცხადება/თანხმობა, სადაც აღნიშნულია, რომ უძრავი ქონების საკუთარ სახელზე პრივატიზაციის/რეგისტრაციის შემთხვევაში მას და მის ოჯახის წევრს/წევრებს **არ ექნებათ პრეტენზია და მოთხოვნა** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო, გამგეობის მიერ, ყოველივე მითითების გათვალისწინების გაგზავნილ იქნა შეუამდგომლობითი ხასიათის წერილი ქალაქ თბილისის მერსა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში, ქალაქ თბილისის მთავრობამ კი იმსჯელა და გადაწყვიტა საკითხის თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის გამართულობა, პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითება და ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის - ტექნიკურად გასწორება.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა – ირაკლი თავართქილაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, **რიგით მე–16 საკითხად განსაზღვრული,** უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, **მოქალაქე დემნა წულაიასთვის,** ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-6 კვარტალი, კორპუსი N9, მე-2 სართული, 39.28 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.**

მომხსენებლის მითითებით, სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე დემნა წულაიამ და ითხოვა, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, თავის მხრივ, **გამგეობის** მიერ, **საკითხის მოკვლევის შედეგად, დადგენილ** იქნა, საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს I განყოფილების მიერ გაცემული წერილით - დემნა წულაია 16 წელზე მეტი ხნით, გამგეობის III მასივის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით - 2003 წლიდან, ხოლო, მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით - 2002 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა, აგრეთვე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიერ გაცემული წერილით - მოქალაქე დემნა წულაიას სახელზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის არარსებობა.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ სამგორის რაიონის გამგეობამშუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, მოქალაქე დემნა წულაიასთვის, მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ხოლო, თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის თბილისის საკრებულოსთვის წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის გამართულობა, პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითება და ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის - ტექნიკურად გასწორება.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **თამთა კაკოიშვილი**